


საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №14/2, 08.12.2017
რექტორი  ი. შარაბიძე



საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა
და განვითარების წესი


ND 2-F09

შეთანხმებულია:

ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი  ნ. ყურშუბაძე

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი  ლ. ჯაყელი



შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა	3
2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები	4
3. ზოგადი დებულებები	11
4. ძირითადი დებულებები	10
5. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და ძირითადი მახასიათებლები	12
6. კრედიტების განაწილების ძირითადი პირობები	17
7. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, დამტკიცება, შეფასება და სისტემატიზაცია	19
8. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურები	16
9. გავრცელების არე	25

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩევრით ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღრღინის“ კოდი. რევიზიის ასლზე დატანის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ND 1-01-02;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრვი მახასიათებელი - საზღვაო ნავიგაცია ND 1-01-68 ;
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრვი მახასიათებელი - საზღვაო ელექტროინჟინერია ND 1-01-69 ;
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრვი მახასიათებელი - საზღვაო ინჟინერია ND 1-01-70 ;
6. საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-09;
7. ბრძანება N07/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 29.01.2016;
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/ნ 2011 წლის 18 თებერვალი ქ. თბილისი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-15;
9. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №10/ნ 04.02. 04. 2010წ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ ND 1-01-17;
10. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №224/ნ 29. 12. 2011წ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-18;
11. ბრძანება №120/ზ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-08;
12. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



13. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
14. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
15. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
16. გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა“ ND 2-F06;
17. სასწავლო პროცესის პროცედურა , საბაკალავრო სწავლების საფეხური ND 2-F04;
18. სასწავლო პროცესის პროცედურა , სამაგისტრო სწავლების საფეხური ND 2-F05;
19. სასწავლო პროცესის პროცედურა , სწავლების პროფესიული სწავლება ND 2-F03;

2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები

2.1. ტერმინები

- 2.1.1. **აკადემიური თავისუფლება** – აკადემიური თავისუფლება – აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;
- 2.1.2. **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2.1.3. **აკრედიტაცია** – აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება;
- 2.1.4. **ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
- 2.1.5. **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის აგრეთვე ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- 2.1.6. **ერთიანი ეროვნული გამოცდა** – პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;
- 2.1.7. **ზოგადი კომპონენტი-სხვადასხვა**, უმეტეს შემთხვევაში მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი, რომელიც ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის გამომუშავებაზეა ორიენტირებული;
- 2.1.8. **თავისუფალი კომპონენტი** -თავისუფალი კომპონენტი - ავტორიზებული ან აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ECTS კრედიტებით გამოყოფილი ნაწილი, რომელიც, საგანმანათლებლო საფეხურის გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის წინაპირობის გარეშე, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე და შეადგენს 240 კრედიტის ნაწილს;
- 2.1.9. **ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა** – სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი პროგრამა.
- 2.1.10. **ინიციატორი** - დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი. გარდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა;
- 2.1.11. **ინტერდისციპლინური** - განსხვავებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი ელემენტებისგან შემდგარი საგანმანათლებლო პროგრამა ან მისი კომპონენტი;
- 2.1.12. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- 2.1.13. **კურიკულუმის კომიტეტი** - ფაკულტეტის კოლეგიალური სათათბირო ორგანო, რომელიც მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარების და შექმნის/შეწყვეტის მიზანშეწონილობის განსაზღვრის, ან ფაკულტეტის დებულებით გათვალისწინებულ სხვა პროცესში.
- 2.1.14. **მაგისტრანტი** – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში;
- 2.1.15. **მაგისტრანტობის კანდიდატი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრის ან განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლის მაგისტრატურაში გაგრძელებას. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- 2.1.16. **მაგისტრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
- 2.1.17. **მობილობა** - სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ ჩაითვალოს დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი ცვლილება“. რევიზიატი ასლზე დატანის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლებრივი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;
- 2.1.18. **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;
- 2.1.19. **რექტორი** – სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე სენატი (აკადემიური საბჭოს) თავმჯდომარე, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე ერთ-ერთი კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე;
- 2.1.20. **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, რომელიც შექმნილია „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე;
- 2.1.21. **სააპელაციო კომისია** - საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილი მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო/სააპელაციო განაცხადის განმხილველი დროებითი ორგანო;
- 2.1.22. **საგამოცდო კომისია** - საზღვაო აკადემიაში რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის ორგანიზებასა და ჩატარებას შიდა რეგულაციების შესაბამისად;
- 2.1.23. **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** – პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, ასევე ქარულ ენაში მოსამზადებელი 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- 2.1.24. **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;
- 2.1.25. **საგნობრივი ქვეკომისია** - რექტორის ბრძანებით შექმნილი და მაგისტრატურის გამოცდაში მონაწილე კანდიდატის საგამოცდო შედეგების შემფასებელი

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმედად არ მათვლება დოკუმენტის ანგარიშ ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვლებანი“. რევიზია ასლზე დაატანს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთხვევაში ასლი მათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართალი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



კომისია.

- 2.1.26. **საერთო სამაგისტრო გამოცდა** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად დადგენილი პროცედურა, რომელიც ადგენს პირის მზაობას მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;
- 2.1.27. **საერთო სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეული ნაწილისთვის განსაზღვრული ერთეული;
- 2.1.28. **საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი** – საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეული ნაწილისთვის განსაზღვრულ ქულათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ოდენობა, რომლის დაგროვება აუცილებელია მაგისტრანტობის კანდიდატისთვის ტესტირების წარმატებით დასაძლევად და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩასატარებელ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად;
- 2.1.29. **საერთო სამაგისტრო გამოცდის რანჟირება აბსოლუტური ქულით/ქულებით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამაგისტრო გამოცდის დასრულების შემდეგ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის შედეგად მოპოვებული აბსოლუტური ქულის/ქულების მიხედვით დადგენილი ჩამონათვალი, რომლითაც ირკვევა, რომელმა მაგისტრანტობის კანდიდატმა მოიპოვა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისთვის, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისთვის, გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში;
- 2.1.30. **საზღვაო უმაღლესი განათლება** - უმაღლესი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაოსნო მეცნიერებებში სათანადო კომპეტენციის

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის ანგარიშის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებები“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;
- 2.1.31. **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 2.1.32. **სამაგისტრო გამოცდა** – სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისთვის განსაზღვრული პროცედურა, რომელიც მოიცავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის საერთო სამაგისტრო გამოცდასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ გამოცდას/გამოცდებს;
- 2.1.33. **სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრული კოეფიციენტების მიხედვით რანჟირებული, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამტკიცებული მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხა, რომლებმაც მოიპოვეს უფლება, ჩაირიცხონ კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე;
- 2.1.34. **სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტების ჯამი** – საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების კოეფიციენტების ჯამი;
- 2.1.35. **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;
- 2.1.36. **სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი** – საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისთვის, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისთვის, სტუდენტისთვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, გარდა სახელოვნებო- შემოქმედებითი, სასპორტო, საზღვაო, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ან სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამისა, თუ ამ პროგრამაზე მიღება არ ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის მეშვეობით;

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვლილება“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ იქნება. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



- 2.1.37. **სენატი** – საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.1.38. **სენდვიჩ ჩანართი** - საგანმანათლებლო პროგრამაში დამატებით ჩართული ბლოკი (უმეტესწილად ეს არის საწარმოო პრაქტიკა), რომელიც სტუდენტისათვის საჭიროა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების ასათვისებლად სამუშაო გარემოში (წარმოებაში, ინდუსტრიაში). სენდვიჩ ჩანართი არ შედის საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტულ მოცულობაში და მისი გავლა არ არის აუცილებელი აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
- 2.1.39. **სილაბუსის შეფასება** - სათანადო ფორმით აღწერილი სილაბუსის ფორმის, სტრუქტურის, სტილის და შემადგენელი ელემენტების შესაბამისობის განსაზღვრა დადგენილ მოთხოვნებთან;
- 2.1.40. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი (სსსმპ)** – სტუდენტი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი, მეტყველების, ქცევის, ემოციური განვითარების, ასევე მხედველობის ან სმენის დარღვევით, ან რომელსაც აქვს გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება.
- 2.1.41. **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
- 2.1.42. **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- 2.1.43. **სწავლა-სწავლების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმარტებული პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);
- 2.1.44. **სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი** ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 ასტრონომიული საათისა. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმადე არ ჩაითვალოს დოკუმენტის ავტომატური განახლება ანუ მის არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიისა“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ანუ ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ანუ იხილო ვებგვერდი www.office.bma.edu.ge



- 2.1.45. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
- 2.1.46. **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);
- 2.1.47. **შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
- 2.1.48. **შეფასების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);
- 2.1.49. **შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;
- 2.1.50. **შუალედური კვალიფიკაცია** – კვალიფიკაცია, რომელიც სტუდენტს ენიჭება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ;
- 2.1.51. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

2.1. შემოკლებები

- 2.1.1. **ECTS - The European Credit Transfer (and Accumulation) System** - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა სტუდენტზე

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეშვად ან ჩათვალს დოკუმენტის ავტორი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩათვალს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილო ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

- 2.1.2. **UNESCO/CEPES** - განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკოს) უმაღლესი განათლების ევროპული ცენტრი;
- 2.1.3. **IMO** - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია.
- 2.1.4. **STCW** - საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ, 1978, 2010-ს ცვლილებებით;

3. ზოგადი დებულებები

- 3.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (შემდეგში „საზღვაო აკადემია“) პროფესიული, აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მოსამზადებელი 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში „პროგრამა“) შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს.
- 3.2. წინამდებარე წესი ეფუძნება კრედიტების ტრანსფერის ევროპულ (ECTS) სისტემას. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ემყარებოდეს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ (ECTS) სისტემას, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით.
- 3.3. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) არის პროფესიული, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 3.4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული უნდა იყვნენ შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული პირები. აღნიშნული არ გამოორიცხავს სხვა კომპეტენტური სუბიექტების ჩართვას პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში.
- 3.5. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა გამომდინარეობდეს საზღვაო აკადემიის მისიიდან და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების,



- კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარის - კვლევის ანალიზის შედეგებს.
- 3.6. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტთან ერთობლივად.
 - 3.7. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საზღვაო აკადემიის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პროგრამა ინტერდისციპლინურია მას ხელმძღვანელობენ მიმართულებაში სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი ერთობლივად.
 - 3.8. პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურას წარადგენს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი კურიკულუმის კომიტეტთან შეთანხმებით, რომელსაც იწონებს ფაკულტეტის საბჭო და პროგრამასთან ერთად ამტკიცებს სენატი. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება გულისხმობს პროგრამის ხელმძღვანელის დანშვნასაც.
 - 3.9. ფაკულტეტის საბჭო ყოველ სამ წელიწადში, როტაციის წესით, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან ქმნის კურიკულუმის კომიტეტს, რომლის უფლებამოვალეობები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულებით. (კურიკულუმი კომიტეტი)

4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და ძირითადი მახასიათებლები

- 4.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკრედიტო მოცულობა არ შეიძლება იყოს 240 (ECTS) ნაკლები. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკრედიტო მოცულობა არ შეიძლება იყოს 120 (ECTS) ნაკლები (ის ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტს. პროგრამის მოცულობის არანაკლებ 25% ეთმობა კვლევით კომპონენტს).
- 4.2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მოცულობა კრედიტებში დაიანგარიშება დარგის სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსის სახით, საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებული პირების (სტუდენტები, დამსაქმებლები) გამოკითხვის გზით გამოვლენილი პირობების გათვალისწინებით. სასურველია კომპონენტის მოცულობა კრედიტებში იყოს 5-ის ჯერადი, თუმცა არ შეიძლება 2 კრედიტზე ნაკლები;
- 4.3. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის კრედიტები განაწილებული უნდა იქნას საფეხურის, კომპონენტის სახეობის (სასწავლო კურსი, საკვალიფიკაციო ნაშრომი, პრაქტიკა და ა.შ), შინაარსის და პროგრამის კვალიფიკაციის



თავისებურებების გათვალისწინებით საქართველოს შესაბამისი რეგულაციების მიხედვით.

4.4. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- a) პროგრამის დასახელებას;
- b) პროგრამის მოცულობას კრედიტებში;
- c) კვალიფიკაციას;
- d) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- e) განხორციელების ენას;
- f) პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა;
- g) პროგრამის მიზანს;
- h) სწავლა-სწავლების მეთოდებს;
- i) პროგრამის განხორციელების თავისებურებებს;
- j) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას;
- k) სწავლა-სწავლების შედეგებს;
- l) სასწავლო კომპონენტებს (დანართი 1 შესაბამისად);
- m) შუალედური კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- n) კომპეტენციების რუკას;
- o) პროგრამის განხორციელების რესურსებს;
- p) სილაბუსები (ფორმა და წარმოების წესი დადგენილია სპეციალურად შემუშავებული ინსტრუქციით);
- q) პროგრამის დანართების ჩამონათვალი;

4.5. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე დატანილი უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; (ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალური სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა და სახე);

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენების ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულად გეგმული“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩაითვლება როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კორექტირება ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- ფაკულტეტი/ფაკულტეტები; უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური; საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება; მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად); პროგრამის მოცულობა კრედიტებში; პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელების ვადა; პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და სენატის შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები.
- 4.6. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულ უნდა იქნას სასწავლო კურსების, მოდულების ან/და კვლევით ან სხვა კომპონენტებისგან;
 - 4.7. სასწავლო კურსი არ შეიძლება იყოს 2 კრედიტზე ნაკლები, 10 კრედიტზე მეტი (კვლევითი კომპონენტების და პრაქტიკის გარდა) და დაუშვებელია კრედიტის მოცულობის განსაზღვრა წილადი ერთეულებით;
 - 4.8. კრედიტის გამოთვლა დამოკიდებულია მის შინაარსობრივ სირთულეზე, სწავლების სპეციფიკაზე. ავტორი დატვირთვის გაანგარიშების დროს ითვალისწინებს სტუდენტთა და სასწავლო კომპონენტის განხორციელებაში მონაწილე პირის მოსაზრებებს/ინტერესებს;
 - 4.9. კურიკულუმის კომიტეტი უფლებამოსილია სილაბუსის ავტორს მისცეს სასწავლო კურსის კრედიტებში გამოთვლასთან დაკავშირებით დასაბუთებული რეკომენდაციები. კურიკულუმის კომიტეტის თანხმობა საგანმანათლებლო პროგრამის მზაობის შესახებ გულისხმობს ყველა სასწავლო კომპონენტის მიმართ მზაობაზე თანხმობას;
 - 4.10. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსები ელექტრონული სახით თავსდება შესაბამის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და წარმოადგენს ოფიციალურ წყაროს. სილაბუსის ბეჭდვითი ვერსიის გამოყენება დასაშვებია მაკონტროლებელი ორგანოების, დაინტერესებული პირებისთვის წარდგენისა და მონაცემთა ელექტრონული ბაზის სარგებლობის შეზღუდვის/ხარვეზის შემთხვევაში გამონაკლისის სხით.
 - 4.11. მოდულის მოცულობა უნდა იყოს 5 კრედიტის ჯერადი, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს. მოდულის სწავლება უნდა განხორციელდეს ერთი სემესტრის განმავლობაში;
 - 4.12. მოდულის სწავლება შეიძლება გაგრძელდეს ერთ სემესტრზე მეტი ვადით, თუმცა მისი შემადგენელი კომპონენტები უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში რომელშიც ხორციელდება;
 - 4.13. მოდულის შეფასების წესი დეტალურად უნდა გაიწეროს შესაბამის სილაბუსში;



- 4.14. თუ საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო საზღვაო პრაქტიკას იგი უნდა შეადგენდეს 30 კრედიტს და არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები ხანგრძლივობის;
- 4.15. დასაშვებია მოდული უზრუნველყოფილი იყოს მასში შემავალი ცალკეული კომპონენტების სილაბუსით (საკუთარი შეფასების წესით) ან კომბინირებული საერთო სილაბუსით;
- 4.16. ყველა მოდული უნდა შეფასდეს სისტემით, რომელიც აუცილებლად მოიცავს შეფასების ფორმას, კომპონენტს, მეთოდს და კრიტერიუმებს.
- 4.17. სწავლების არასრული რეჟიმის სახით განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელისა და კურიკულუმის კომიტეტის ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო.
- 4.18. სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად , სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ინდივიდუალური სწავლების პროგრამის შემუშავება;
- 4.19. ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას სტუდენტთან ერთად შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი და ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო;
- 4.20. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნას აკადემიური სასწავლო კალენდრით გათვალისწინებული ვადები (სემესტრის და სასწავლო წლის დაწყება/დასრულება);
- 4.21. ინდივიდუალური სასწავლო ნპროგრამაზე მყოფი სტუდენტისთვის საგამოცდო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებაზე პასუხისმგებელია დეკანის ერთ-ერთი მოადგილე;
- 4.22. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების (სასწავლო კომპონენტების ათვისების) შედეგად სტუდენტს აკადემიაში მოქმედი წესის მიხედვით მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია;
- 4.23. ბათუმის საზღვაო აკადემიაში სტუდენტის საშუალო დატვირთვა კვირაში შეადგენს 41 საათს, გამონაკლის შემთხვევებში (ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით) შესაძლებელია იყოს მეტი (არაუმეტეს 45 საათისა).
- 4.16. საზღვაო აკადემიაში სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისგან და როგორც წესი მოიცავს 38 კვირას, შესაბამისად 1 (ECTS) კრედიტი 26 სამუშაო საათის ტოლია;

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენაო ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "დრეფტული ვერსიის" რევიზია ასლზე დატანის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარიბის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



$$1_{ECTS} = \frac{38 \times 41}{60} = 26 \text{ სთ}$$

- 4.17. სემესტრის ხანგძლივობა – 19 კვირაა, საიდანაც 15 კვირა - საკონტაქტოა, რაც გულისხმობს სტუდენტის დასწრებას ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, მუშაობას სამუშაო ჯგუფებში და სხვა, ხოლო 4 კვირა ეთმობა სტუდენტის სწავლის შედეგად შეძენილი ცოდნისა და უნარების შეფასებას. გამონაკლისი დასაშვებია საცურაო პრაქტიკისა და სენატის დასაბუთებული გადაწყვეტილების შემთხვევებში;
- 4.18. საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით გამოიყენება სპეციალური საკანონმდებლო და საერთაშორისო კონვენციური ნორმები.
- 4.19. სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შეასრულოს საშუალოდ 60 ECTS კრედიტი (საშუალოდ 30 კრედიტი თითოეულ სემესტრში);
- 4.20. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა წარმატებით უნდა შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი.
- 4.21. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა წარმატებით უნდა შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და დააგროვოს არანაკლებ 120 კრედიტი.
- 4.22. საზღვაო ინდუსტრიაში დასაქმებული სპეციალისტები (მეზღვაურები), რომლებსაც სურთ მოიპოვონ გემზე მართვის პასუხისმგებლობის დონის თანამდებობის (გემის კაპიტანი, უფროსი თანაშემწე, უფროსი მექანიკოსი, მეორე მექანიკოსი) დაკავების უფლება, უნდა ფლობდნენ საზღვაოსნო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს (საზღვაოსნო მეცნიერებათა ბაკალავრი „საზღვაო ნავიგაცია“, „საზღვაოსნო მეცნიერებათა ბაკალავრი „გემის მექანიკა“, „გემის ელექტრომექანიკა“);
- 4.23. საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას;
- 4.24. საზღვაო სპეციალობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას, მიზანშეწონილია გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული იქნას საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) შესაბამისი მოდელ-კურსების მოთხოვნები, სადაც გაწერილია აუცილებელი სასწავლო კურსების დეტალური აღწერა (სილაბუსი).
- 4.25. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საზღვაო აკადემია უფლებამოსილია მიაწოდოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია პირველი საფეხურის

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ მიაღწიეს დოკუმენტის აქტუალობის ნაკვეთი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწიეს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად;

- 4.26. საზღვაო სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მხედველობაში მიღებული უნდა იქნას შესაბამისი დონის მეზღვაურისთვის აუცილებელი კომპეტენციების დაგროვების შესაძლებლობა. კერძოდ, მოკლე ციკლის სწავლის შედეგების აღწერა ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობისა და „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას (STCW) .
- 4.27. შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი სტუდენტზე გაცივმა მხოლოდ სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე;

5. კრედიტების განაწილების ძირითადი პირობები

5.1. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე ხორციელდება რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ „მეზღვაურთა წვრთნის, სერტიფიცირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების“ შესახებ (STCW) საერთაშორისო კონვენციით საოკეანო გემის ეკიპაჟის წევრებისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამის გამო არჩევითი მოდულების წილი საგანმანათლებლო პროგრამებში არის შეზღუდული. გამომდინარე აქედან: საზღვაოსნო სპეციალობებზე გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლები

- საზღვაო ნავიგაცია - ძირითადი სპეციალობის სასწავლო კომპონენტები min 180 ECTS;
- საზღვაო ინჟინერია - ძირითადი სპეციალობის სასწავლო კომპონენტები min 180 ECTS;
- საზღვაო ელექტროინჟინერია - ძირითადი სპეციალობის სასწავლო კომპონენტები min 180 ECTS;

5.2. შესაძლებელია რეგულირებად სპეციალობებზე კრედიტების შემდეგი გადანაწილება:

- ა) ძირითადი სპეციალობის სასწავლო კომპონენტები min 180 ECTS- ის გარდა 60 ECTS მეორე სპეციალობის თავისუფალი ან არჩევითი კრედიტების დამატება;

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმადე არ მათვალს დოკუმენტის ავტორი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღუდვაში ასლი მათვალს როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიზის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილო ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



6. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება რეგულირებად კატეგორიას კრედიტები შეიძლება განაწილდეს შემდეგნაირად:
 - ა) 120 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის, 60 არჩევითი სპეციალობისთვის და 60 კრედიტი არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისათვის;
 - ბ) 120 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის, 60 კრედიტი არჩევითი და 60 კრედიტი თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისათვის;
 - გ) 180 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის, 60 კრედიტი არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისათვის.
- 6.1. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისათვის საბაკალავრო პროგრამების 240 კრედიტი შემდეგნაირად შესაძლებელია გადანაწილდეს:
 - ა) 120 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის, 60 არჩევითი სპეციალობისთვის და 60 კრედიტი არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისათვის;
 - ბ) 120 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის, 60 კრედიტი არჩევითი და 60 კრედიტი თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისათვის;
 - გ) 180 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის, 60 კრედიტი არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისათვის.
- 6.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ პროგრამის ხელმძღვანელი კანონმდებლობის მოთხოვნათა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკის გათვალისწინებით თვითონ განსაზღვრავს პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილების პრინციპებს;
- 6.3. საგანმანათლებლო პროგრამას ენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი ფაკულტეტისა და აკადემიური დეპარტამენტის ნომრის მითითებით;
- 6.4. სტუდენტთა წარმატების შეფასება უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემულ 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში „კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ“ აღწერილი სქემის შესაბამისად;



7. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, დამტკიცება, შეფასება და სისტემატიზაცია

- 7.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება მოიცავს შემდეგ ძირითად სტადიებს:
 1. იდეის ინიცირება, პროგრამის დასაბუთება და თანხმობის მიღება;
 2. პროგრამის პროექტის შექმნა და შეთანხმება ფაკულტეტის უფლებამოსილ ორგანოებთან;
 3. პროგრამის პროექტის დამტკიცება და აკრედიტაციისთვის მომზადება თვითშეფასების და შესაბამისი დამადასტურებელი მასალების მომზადების გზით.
- 7.2. დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება რომელიც შემუშავებულია 6.1. მუხლით დადგენილის სტადიების დარღვევით.
- 7.3. საზღვაო აკადემიაში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის იდეა/პროექტის წარდგენის უფლება აქვს საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და დამსაქმებელს, დაინტერესებულ პირს შესაბამისი სასწავლო აკადემიური დეპარტამენტისათვის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე;
- 7.4. იდეა/პროექტი განხილული და მხარდაჭერილი უნდა იყოს სასწავლო აკადემიური დეპარტამენტის შემადგენლობის უმრავლესობის მიერ და კურიკულუმის კომიტეტის წერილობითი თანხმობით;
- 7.5. აკადემიური დეპარტამენტი განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფს და ჯგუფის ხელმძღვანელს.
- 7.6. სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია წარმოდგენილი პროგრამის პროექტის, კვლევითი მასალების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე და მოსამზადებელ სამუშაოებში დაინტერესებულ პირთა ჩართულობაზე და გარე შეფასების მექანიზმების ჯეროვან, ობიექტურ შესრულებაზე.
- 7.7. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია პროგრამის პროექტი დადგენილ ვადებში წარუდგინოს აკადემიურ დეპარტამენტს, რომელიც განხილვის შემდგომ მას გადასცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და კურიკულუმის კომიტეტს. პროგრამის პროექტი, ხარისხის სამსახურის და კურიკულუმის კომიტეტის წერილობითი დასკვნების ერთად უბრუნდება დეპარტამენტს, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას პროგრამის პროექტის განსახილველად ფაკულტეტის საბჭოსთვის თუ პროგრამის

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეშვად არ ჩაითვალოს დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებების რევიზია“ რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- ხელმძღვანელისთვის, სამუშაო ჯგუფისთვის კორექტირების მიზნით უკან დაბრუნების თაობაზე.
- 7.8. პროგრამის პროექტი ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად გადაეცემა დეპარტამენტის წევრთა 2/3 ის მიერ პროექტის წარმოდგენილი რედაქციის მოწონების შემთხვევაში.
 - 7.9. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შენიშვნებით უკან დაუბრუნოს დეპარტამენტს პროგრამის პროექტი ან დასაბუთებული უარით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.
 - 7.10. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, აკრედიტაციისთვის მზადების პროცესს ზედამხედველობას უწევს საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
 - 7.11. საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემს სავალდებულო შესასრულებელ მითითებებს, კონსულტაციებს და რეკომენდაციებს;
 - 7.12. საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია, დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით, მიმართოს სენატს, ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების თუ მოქმედების შეჩერების ან/და შეწყვეტის თაობაზე.
 - 7.13. საგანმანათლებლო პროგრამას, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ხმების უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს სენატი.
 - 7.14. სენატი პროგრამის დამტკიცებასთან ერთად განიხილავს და ამტკიცებს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის განვითარების, განხორციელების, შიდა და გარე შეფასებების განხორციელების ორგანიზებულად, ჯეროვნად შესეულებაზე.
 - 7.15. სენატის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნას დამტკიცებული პროგრამის აკრედიტაციაზე წარდგენის ან აკრედიტაციის გარეშე მისი განხორციელების შესახებ (გარდა რეგულირებადი პროგრამების შემთხვევებისა, რომელთა აკრედიტაცია სავალდებულოა);
 - 7.16. სენატი უფლებამოსილია შენიშვნებით უკან დაუბრუნოს ფაკულტეტის საბჭოს პროგრამის პროექტი ან დასაბუთებული უარით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.
 - 7.17. პროგრამის დამტკიცების შემდეგ, სენატის გადაწყვეტილების თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებულად ამზადებს თვითშეფასებას და დამადასტურებელ მასალებს აკრედიტაციის განაცხადის უზრუნველსაყოფად.

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ მათვლება დოკუმენტის ანგარიშის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულად გეგმვლად“. რევიზია ასევე დაატანს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი მათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- 7.18. აკრედიტაციის პროცესის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით და ზედამხედველობით.
- 7.19. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების განხილვას და დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა უზრუნველყოფს საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- 7.20. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების, შენიშვნების ან სხვაგვარი მითითების განხილვას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროგრამის ხელმძღვანელის და კურიკულუმის კომიტეტის მონაწილეობით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ვალდებულია განხილვის შედეგები, გასაცნობად გადასცეს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, საკუთარი პოზიციის შუამდგომლობით, საკითხს მასალებთან ერთად გადასცემს სენატს.
- 7.21. დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის ორიგინალი ინახება საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომელიც ახორციელებს მის კოდიფიკაციას, ასკანერებს მას და ათავსებს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ამავე წესით ხორციელდება ცვლილებების აღრიცხვა და კოდიფიკაცია.
- 7.22. დამტკიცებულ და კოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამის ასლს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იმპლემენტაციის მიზნით გადასცემს შესაბამის ფაკულტეტს და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურს, ასევე სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
- 7.23. ფაკულტეტი საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით გადასცემს დარგობრივ დეპარტამენტს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას, ორგანიზაციულ აქტივობებს, შეფასებას, ანალიზს და აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, დამადასტურებელი მასალების აღრიცხვასა და შენახვას.
- 7.24. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების კონსოლიდაციას, ძირითად ტექსტში ინტეგრირებას ახორციელებს საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- 7.25. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების აღრიცხვასა და შენახვაზე ვრცელდება ამავე მუხლის 6.19 პუნქტით განსაზღვრული წესი.

ND 2-F09-02
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №1
რევიზიის თარიღი 02.11.2016
მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის ანგარიშ ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ცვლილებანი“. რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



- 7.26. საგანმანათლებლო პროგრამის ბეჭდვით და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში განთავსებულ ელექტრონულ ვარიანტებს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში განთავსებულ ვარიანტს.
- 7.27. აკრედიტებული ან სენატის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის გარეშე, ავტორიზაციის რეჟიმში პროგრამის განხორციელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი 15 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია მოამზადოს პროგრამის შესახებ ინფორმაციის შემცველი კატალოგი (პროგრამის შესახებ შემდეგი ძირითადი ინფორმაციის მითითებით: სწავლების სააფეხური, პროგრამის დასახელება, კვალიფიკაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელების ადგილი, სწავლების ენა, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, ჩარიცხვის წინაპირობა, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები);
- 7.28. პროგრამის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამაზე საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით კატალოგს მიაწოდებს აკადემიის ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც მოქმედი წესის თანახმად განათავსებს მას.
- 7.29. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის რეგულარულ განახლებას, ამავე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადების დაცვით.

8. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურები

- 8.1. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება რეგულარ შეფასებას;
- 8.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება გამოკითხვებისა და უფლებამოსილი პირების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დარგის მიღწევებთან შესაბამისობის შეფასების გზით;
- 8.3. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასებას ახორციელებენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის კომიტეტი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი.

ND 2-F09-02
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №1
რევიზიის თარიღი 02.11.2016
მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- 8.4. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის კომიტეტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მონაწილეობით:
- ა) ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის, მონიტორინგს/საუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებას და სხვ.;
 - ბ) ატარებს სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს;
 - გ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიუებებს;
 - დ) ახორციელებს სასწავლო მასალის მონიტორინგს;
 - ე) აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;
 - ვ) საჭიროებისამებრ ახორციელებს პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი სასწავლო მასალის ექსპერტიზა (შიდა და გარე).
- 8.5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ყოველი სასწავლო წლის დასრულებიდან ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმართება კურიკულუმის კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებები და პროგრამის განვითარების რეკომენდაციები;
- 8.6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე შემუშავებულ და შეჯერებულ რეკომენდაციებს გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია ცვლილებების პროექტის და კორექტირებული პროგრამის მომზადებაზე;
- 8.7. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შენიშვნებით უკან დაუბრუნოს ცვლილებების პროექტი აკადემიურ დეპარტამენტს იმავე ფორმატში განხილვის მიზნით ან მოიწონოს ცვლილების პროექტი და სენატს წარუდგინოს დასამტკიცებლად.
- 8.8. სენატი უფლებამოსილია დასაბუთებული უარით უკან დაუბრუნოს ფაკულტეტის საბჭოს ცვლილების პროექტი ან ხმათა უბრალო უმრავლესობით დააკმაყოფილოს ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობა.
- 8.9. ცვლილებების პროექტს და კორექტირებულ პროგრამას განიხილავს, სათანადოდ აღრიცხავს და აფორმებს აკადემიური დეპარტამენტი.
- 8.10. სასწავლო აკადემიური დეპარტამენტი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის, მისი კომპონენტების, დადგენილი წესით მართვაზე, განვითარებაზე და შინაარსზე.
- 8.11. აკადემიური დეპარტამენტი ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებიდან მისი მოქმედების შეწყვეტამდე სრულად და ჯეროვნად

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეშვად ან ჩაიშვას დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიის აღნიშვნა. რევიზია ასევე დაატანს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაიშვას როგორც „არაოპერატიული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- აღრიცხოს და აწარმოოს ყველა სახის დოკუმეტი, დამადასტურებელი მასალა და ინფორმაცია.
- 8.12. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებას ახორციელებს დაინტერესებული პირები, კურსდამტავრებული, დამსაქმებელი, პროფესიული ორგანიზაციები, პარტნიორი დაწესებულებები გამოკითხვებისა და ერთობლივი მიზნობრივი შეხვედრების გზით და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად.
- 8.13. აკადემიური დეპარტამენტი ვალდებულია პროგრამის მოქმედების შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს პროგრამის, მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტების, მასალის სისტემატიზაცია, შეაჯამოს პროგრამის განხორციელებიდან მიღებული გამოცდილება, დააოქმოს ძლიერი და სუსტი მხარეები და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბაროს საზღვაო აკადემიის არქივს;
- 8.14. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.
- 8.15. პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ექვემდებარე საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ აღრიცხავს, თვითშეფასების ნაწილში ასახვას და სათანადო წესით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირებას.
- 8.16. საგანმანათლებლო პროგრამის ვადამდე შეწყვეტა, შეჩერება/გაუქმება დასაშვებია სენატის წინაშე ფაკულტეტის საბჭოს, საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, რექტორის დასაბუთებული შუამდგომლობით.
- 8.17. საგანმანათლებლო პროგრამის ვადამდე შეწყვეტის, შეჩერების/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სენატი სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით.
- 8.18. საზღვაო აკადემია პარტნიორ უნივერსიტეტებთან დადებული თანამშრომლობითი შეთანხმებების საფუძველზე უზრუნველყოფს ვადამდე შეწყვეტილი, შეჩერებული/გაუქმებული პროგრამის სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელებას. იმ შემთხვევაში თუ პარტნიორი სასწავლებლების მეშვეობით ვერ ხერხდება სტუდენტთა საგანმანათლებლო უფლების უზრუნველყოფა და ისინი უარს ამბობენ მობილობის უფლების გამოყენებაზე, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით პროგრამა შეიძლება განხორციელდეს მიღევად რეჟიმში.
- 8.19. ვადაგასული, შეწყვეტილი და გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება არქივირებას.

ND 2-F09-02
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №1
რევიზიის თარიღი 02.11.2016
მოქმედებაშია 02.11.2016

შეშვად არ ჩაითვალოს დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ცვლებების“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართალი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



8.20. საკითხები, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, გადწყვეტილებას ღებულობს სენატი შემადგენლობის 2/3-ით.

12. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით.

ND 2-F09-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 02.11.2016

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არეგირი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge